

ნიუნებელ მიმოხილვა

ატიუღები წინაპრებსა და თანამედროვეებსა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ აკაკი თოფურიას ახალ წიგნს „ეტიუღები კრიტიკული ნააზრევიდან“ წამოღებული აქვეს გიორგი ნატროშვილის მოკლე წერილი სათაურით: „ორიოდე სიტყვა წიგნსა და ავტორზე“. ამ წერილმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო არა მხოლოდ მასში გამომეტყველებული კოლეგიალობის წრფელი გრძობით, არამედ წიგნის ავტორის დამსახურების იმ სამი ზოგადი ასპექტის ზუსტი ჩვენებით, რაც ასე მკაფიოდ და ერთობლივად დღემდე არავის გამოუხატავს. წინასიტყვაობის ავტორმა აღნიშნა აკაკი თოფურიას მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო, დაახასიათა იგი, როგორც „შემოქმედი და მოაზროვნე“, როგორც „ლიტერატურისა და ხალხის ბედზე“ ღრმად დაფიქრებული კრიტიკოსი, რომელსაც აქვეს „აზრის შემოქმედებითი გაბედულება და მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური ხელწერა“. ყოველივე ამის დადასტურებაა თვით წიგნში მოთავსებული მასალები.

წინასიტყვაობის ავტორმა ამაოდ არ გაიხსენა აკაკი თოფურიას ადრინდელი პოეტური ბიოგრაფია. მოაქვს რა თავის წერილში გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1944 წლის 8 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი აკ. თოფურიას ლექსის — „ვდგავარ კარპატის ქედზე მხარგაშლით“ მთლიანი ტექსტი, ანალიზებს და დადებითად აფასებს რა მის იდეურ და ესთეტიკურ ღირებულებას, გ. ნატროშვილი წერს: „მოუხედავად იმისა, რომ როგორც ეს ლექსი, ისე მისი სხვა პოეტური ნაწარმოებები, გამოქვეყნებული უფრო ადრე, მოწმობდნენ, რომ მათი ავტორი არ იყო უპერსპექტივო ამ ქანრში, აკაკი თოფურია მაინც არ გაპყვა ამ გზას და პოეზიიდან არც თუ დიდად დაშორებულ სფეროში — შემოქმედების მომიჯნავე სფეროში — კრიტიკისა.

აკაკი თოფურია, ეტიუღები კრიტიკული ნააზრევიდან. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1980.

ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურისმცოდნეობაში დაიწყო მუშაობა“.

ჩვენ დავინტერესდით აქ აღძრული საკითხის უფრო ღრმად შესწავლით და აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ომამდელი პერიოდის ყურნალ-გაზეთებში („ჩვენი თაობა“, „მგზნებარე კოლხიდელი“ და სხვ.) გამოქვეყნებული ლექსების მიმოხილვის შედეგად გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1941 წლის 13 ივნისის ნომერში (№ 24) რეცენზენტი ალ. მიმინოშვილი წერდა: „აკ. თოფურიას ლექსები საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ იგი სულ მალე ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტთა რიგებში ჩადგება“. აკ. თოფურიას ომისდროინდელი ლექსების გარკვეული ნაწილი და პოემა „ხმა სანგრისიდან“ დაბეჭდილია 1948 წელს გამომცემლობა „საბლიტგამის“ მიერ გამოცემულ ფრონტელი პოეტების ლექსთა კრებულში „იერიში“ (გვ. 16-32), ბალადა „პალმა“ 1949 წელს სოხუმში გამოცემულ ლექსთა კრებულში „ქალაქი-ბალი“ (გვ. 68-71), ხოლო ყურნალ „მნათობის“ 1949 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ლექსი „ლენინი ქობში“ დასახელებულია, როგორც ლენინის თემაზე დაბეჭდილ ლექსთა შორის ერთ-ერთი კარგი ლექსთაგანი. გიორგი მარგველაშვილის მიმოხილვით წერილში, რომელიც დაბეჭდილია ყურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ ამავე წლის მე-4 ნომერში (გვ. 148). აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ „მოგონება კარპატზე“ გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე 1945 წლის 9 სექტემბერს (№ 180).

ამ ამბების გახსენება იმისთვის დაგვიჭირდა, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა მიეცეს, თუ რა საინტერესო, მტკიცე და საიმედო პოეტური წარსული ჰქონია დღეს უკვე სახელმწიველი, ომგადახდილ მეცნიერს, ღვაწლმოსილ მკვლევარს აკაკი თოფურიას. ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა საკითხის მეორე ასპექტიც, რომელსაც გაკვირით მაგრამ ზედმიწევნითი სიზუსტით ეხება წინასიტყვაობის ავტორი. ეს არის ის, რომ ლიტერატურ-

რისმცოდნეობის სამ „ერთმანეთისაგან განუყრელ დარგში“ — ლიტერატურის ისტორიასა, თეორიასა და კრიტიკაში „თანაბარი“ ძალითა და უნარით მუშაობასთან ერთად, აკაკი თოფურიია, როგორც იგი აღნიშნავს, სამართლიანად ითვლება „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის მეცნიერული კურსის ფუძემდებლად“. ეს ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, კერძოდ, სტუდენტი ახალგაზრდობისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები-სათვის საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია. მაგრამ აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ, როგორც ახლა უკვე აშკარად ჩანს, ეს მოხდა სწორედ იმ პოეტური გატაცების მსხვერპლად შეწირვის ხარჯზე, რაც, როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან დავინახეთ, არანაკლებ საკრიტიკოს და მომავალს უქადდა აკ. თოფურიას პოეზიის სფეროში.

ამის ახსნას სავსებით სწორად იძლევა გ. ნატროშვილი. „მისი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, — ნათქვამია შესავალ წერილში, — ფუნდამენტური ნაშრომები ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორიის შესახებ, — იქცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სამაგიდო წიგნებად. განსაკუთრებით ძვირფასია იმის აღნიშვნა, რომ ეს წიგნები ხელს უწყობენ ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის სიყვარულისა და ინტერესის აღზრდას“. თავისთავად ეს დიდი ეროვნული საქმეა. და თუ ყოველივე ამას კონკრეტული დებულებების სახეს მივცემთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ომის შემდგომი პერიოდის ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორიაში პროფესორმა აკაკი თოფურიამ ახალი ეტაპი შექმნა. ამ ეტაპს ქმნიან 1950-იანი წლებიდან ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის შრომებისა და გამოკვლევების პარალელურად მის მიერ გამოქვეყნებული ისეთი ორიგინალური მეთოდოლოგიური მონოგრაფიები და სახელმძღვანელო, როგორცაა „ლეო ქაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“ (გამოიცა ორჯერ 1952-1956 წლებში), „ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორია“ (1969 წელს) და „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია“ (გამოიცა ოთხჯერ 1957-1974 წლებში).

აკად. გიორგი ჭიბლაძეს წიგნში „პედაგოგია და მეთოდოლოგია“ სპეციალურ თავად აქვს გამოყოფილი სტატია „სწავლების მეთოდოლოგიური პრობლემათა“ (იხ. 1974, გვ. 67-76), რომელიც მთლიანად ქართული ლიტერატურის მეთოდოლოგიის დარგში აკ. თოფურიას დამსახურების მეცნიერულ ანალიზს ეძღვნება. აქ პატივცემული აკადემიკოსი სავსებით სწორად მიუთითებს რა იმაზე, რომ „შეუძლებელია იმ საგნის სწავლების მეთოდოლოგია შექმნა, რომელსაც ღრმად არ ხარ

დაუფლებული“. გარკვევით და პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ავტორი (ლაპარაკია აკ. თოფურიასზე — ნ. გ.). არამარტო ღრმად ერკვევა ზოგადმეთოდოლოგიურ პრობლემებში, არამედ, მან კარგად იცის ქართული ლიტერატურის ისტორია, პედაგოგია, მისი მონათესავე დარგები, რაც საშუალებას აძლევს თავისუფლად გამოიყენოს თითოეული მათგანი მეთოდოლოგიის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად“ (იქვე, გვ. 68). და ბოლოს დასძენს: „ვინც ფიქრობს, მე თოდოლოგია მეცნიერება არ არისო, მას ამ წიგნითაც (ლაპარაკია აკ. თოფურიას წიგნზე — ნ. გ.). კარგად შეუძლია საკუთარი შეცდომა დაინახოს და მისი გამოსწორებაც დაიწყოს“ (იქვე, გვ. 76).

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიის მეცნიერული კურსის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის კავალერის აკაკი თოფურიას სახელი, მისი მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი განუყრელად და მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი კათედრის — ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიის გაერთიანებული კათედრის დაარსებას, რომელსაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი მესამე წელია ნაყოფიერად და ენერგიულად ხელმძღვანელობს.

ამიტომ როცა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში აკ. თოფურიას წიგნს ვიხილავთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ასეთ ფაქტებსა და მოვლენებს, არ გამოვყოთ მისი საგანგებო ხასიათი და მნიშვნელობა მწერლობისა და სკოლის, ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის სწავლების ურთიერთდაკავშირებისათვის. აკ. თოფურიას მაგალითი დღეს ამ მხრივ შესაშური, მისაბამი და ღირსეულად დასაფასებელი მაგალითია.

რაც შეეხება თვით სარეცენზიო წიგნს — „ეტიუდები კრიტიკული ნააზრვეიდან“, იგი სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე დაწერილ გამოკვლევებს, სტატიებსა და წერილებს აერთიანებს. წიგნში წარმოდგენილია ასეთი ხასიათის 14 ნაშრომი. „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ხარათაშვილი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის)“ — ასეა სახელდებული პირველი გამოკვლევა, რომელშიც თერგდალეულთა იდეური ბელადის ილია ჭავჭავაძისა და ქართული რომანტიზმის ორფეოსის ნიკოლოზ ხარათაშვილის სულიერი ნათესაობა არის გარკვეული.

„ამ დიდი მწერლების (იგულისხმება ილია და ხარათაშვილი ნ. გ.), დიდი ადამიანების შემოქმედებითი ნათესაობის საკითხი მრავალმხრივ, არის საინტერესო, — წერს აკაკი თოფური, — ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გასაოცარი სიდიადით, სიმანხილითა და სიღრმით

2

შეიგრძნო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური გენიის კხოველმყოფელობა, მისი აზრების შთამაგონებელი, ამაღლებელი ძალა. ის დროული სივრცე, რომელიც აშორებდა ილიას ბარათაშვილის ეპოქისაგან სრულიად არ უშლიდა ხელს მას ჩანსწდომოდა პოეტის ბოძოქარი სულის ხვეულებს, გულით მინდობოდა მის კაემნიან ფიქრებს და განეცადა „სულით ობოლის“ ის მწარე ხვედრი, რაც ისტორიული განვითარების კანონზომიერებამ ასე მკაცრად და დამტანჯველად არგუნა ბარათაშვილს“ („ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან, გვ. 7).

წერილის ავტორი არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ თეორიული განაცხადით და ჩაუტარებია მეტად შრომატევადი სამუშაო. დიდი სიფრთხილითაა შედარებული ერთმანეთთან. ნ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ცალკეული ლექსები და თანამიმდევრული, სკრუპულოზური ანალიზის შედეგად მიღებულია სავსებით ლოგიკური და დამაჯერებელი დასკვნა, რომ „ილიას სულიერი მღელვარების, პოეტური აღმაფრენის, იდეური მომწიფების პირველი და განუწყვეტელი ძაფები ღრმად ჩაქსოვილია ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკაში, მის გენიალურ შემოქმედებაში“ (იქვე).

უნდა შევნიშნოთ, რომ მე-19 საუკუნის ლიტერატურის ძველთან მიმართების საკითხი ჩვენში ნაკლებ არის შესწავლილი (ამ ხარვეზს მხოლოდ ნაწილობრივ თუ ავსებს პ. ინგოროყვას, ა. გაწერელიას, ა. ბარამიძის, ლ. მენაბდის და სხვათა ცალკეული ნაშრომები). ის იდეურ-თემატური პარალელები, რაც სარეცენზიო წიგნის ავტორს ი. ჭავჭავაძის და ნ. ბარათაშვილის პოეზიაში შეგნებულად აქვს დაძებნილი, ძველი ქართული მწერლობის მდიდარი არსენალიდან არის მომდინარე და თუ ამ კუთხით შევხედავთ ნაშრომს, ჩვენს წინაშე წარმოჩინდება მისი კადვე ერთი საინტერესო, პოზიტიური მხარე.

განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია სტატიაში „თაობათა ბრძოლაში გრიგოლ ორბელიანის ადგილის გარკვევისათვის“ აკაკი თოფურიას პოზიცია და მართებული მოსაზრებანი. ეს წერილი ორი ათეული წლის წინათ გამოქვეყნდა და უნდა ითქვას, რომ დიდად შეუწყობა ხელი ერთიანი, პოზიტიური აზრის შემუშავებას ვრ. ორბელიანის პიროვნების შესახებ, რომლის პერსონა ქართული პრესის ფურცლებზე დაუსრულებელი დავის ობიექტი იყო. სამართლიანად წერს კრიტიკოსი „თაობათა ბრძოლის ისტორიაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობა, ვფიქრობთ, არ იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ ახალი თაობისადმი მისი მტრული დამოკიდებულება, რომ თითქოს „იგი ვერ ზედწვდა და არ სცნობდა ახალი თაობის მოღვაწეობის დადებით მხარეებს“. არ თანაუგრძნობდა მათ, ანგარიშს არ უწყევდა თანამედროვე სინამდვილით ნაჯარნახვე აუცილებლობას და 70-იან

წლებში „მამების“ პოზიციის აშკარად უხეიროდ დაცვით გამოხატავდა ძველი. „კონსერვატიული ბანაკის რეაქციულ იდეოლოგიას. აქედან მკირე მანძილია რეაქციულ რომანტიზმთან მის გათანაბრებამდე. ეს კი სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა“ („ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან“, 1980, გვ. 55).

როცა თაობათა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზეა საუბარი, რატომღაც უცვლელ დებულებად რჩება ინერციით მომდინარე აზრი, რომ მათ შორის უცილობლად ჩინური კედელია აღმართული, თაობათა ცვლა განვითარებას გულისხმობს, რაც ძველის უარყოფას სრულიადაც არ ნიშნავს. ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძეც. იგი პრინციპულად წინააღმდეგი იყო თვით სახელწოდებების გამოგონებისაც კი („ძველი თაობა“, „ახალი თაობა“). წერილებში „მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ ილიას უწერია — „თავი დავანებოთ ამ გაცვეთილ ფრაზეებს“. და თუ ჩვენ მაინც თაობებზე ვილაპარაკებთ, უფრო სწორი იქნება თაობად ერთი იდეური მრწამსით გაერთიანებული ჯგუფი ვიგულისხმოთ.

ამ მხრივ საინტერესოა რენესანსის ეპოქია დიდი ხელოვანის რაფაელ სანსიოს „ათენის სკოლა“. სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფოსნი მხატვრის ტილოზე ერთურობის გვერდით განლაგებულნი არიან არა ქრონოლოგიის მიხედვით, არა მათი ქვეყნადმოყოფობის თარიღების გათვალისწინებით, არამედ აზრის, იდეური ერთობის საფუძველზე: ნახატის ცენტრში პირისპირ დგანან პლატონი და არისტოტელე, ხოლო მათ გვერდს უმშვენებენ თავიანთი სულის თანაზიარნი, თაობათა სახელდება ჩვენ ამ პრინციპით მიგვაჩნია გამართლებულად. ცდება ის, ვინც ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ლოლობერიძეს ერთ თაობად წარმოგვიდგენს, ხოლო გრიგოლ ორბელიანს მათ მტრულ ბანაკში მიუჭენს ადგილს.

ცალკე განსჯის საგანია აკაკი თოფურიას თეორიული ნააზრევი, რომელიც ძირითადად დამოკიდებულია წერილებში „ლიტერატურული ოსტატობისათვის შებრძოლი პოეტი“, „კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამო“ და ვრცელ ნაშრომში „კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია“. მაგრამ მათზე ადრეც დაწერილა და აქ აღარ შეგჩერდებით.

„ეტიუდების“ 79-ე გვერდზე, ეხება რა მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის პრობლემას, აკ. თოფურია წერს: „ეს ის უხილავი სამყაროა, სადაც შესვლა და შეღწევა ყველას არ შეუძლია. ამ სამყაროში მკითხველი ლიტერატურისმცოდნეთა კრიტიკული ნაშრომების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ შედიოდეს. ხოლო იმისათვის, რომ ამ დანიშნულების ნაშრომები ასრულებდეს მათზე წაყენებულ მოთხოვნებს,

